



ლურჯი

საქართველოს მთავარი რესტავრაციის თეატრისა და კინოს სახელმისამართი ეროვნული მუზეუმი * № 1 (84) 29 იანვარი 2014 წელი

გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს გიორგი ეჩისთავს ღაბალებირან 200 წელი შეუსახლებელი

XIX საუკუნის 30-40-იანი წლების ქართული კულტურის ისტორია გიორგი ერისთავის მოღვაწეობის გარეშე წარმოუდგენელია. თითქმის არ დარჩენილა არცერთი სფერო, სადაც თავისი საქმიანობით მს თავი არ გამოუჩენია. ერისთავის მრავალმხრივი მოღვაწეობა ერთდროულად ითავსებდა ოეატრალურ, ლიტერატურულ, ჟურნალისტურ საქმიანობას და ამავე დროს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მოკრძალებული წვლილი შექმნდა. ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა და ბატონიშვილის გადავარდნის მოთხოვნა, წლების მანძილზე პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოების მთავარი სატკივარი იყო. გიორგი ერისთავმა ბატონიშვილის გადავარდნამდე გლეხები წინასწარ ვაათავისუფლა, უფრო ადრე კი 18 წლის ახალგაზრდა ჭაბუქმა ანტიცარისტულ მოძრაობაში, 1832 წლის შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა. შეთქმულების გაცემის შემდეგ, სხვა მონაწილეებთან ერთად დააპატიმრეს და 1834 წელს საქართველოდან გადასახლდეს. გადასახლების პერიოდში ხშირად იცვლიდა ადგილს. ქ. ვილნოში ყოფნისას ისმენდა ლექციებს უნივერსიტეტში, შეისწავლა პოლონური ენა და თარგმა პოლონელი მწერლის ადამ მცკევითის ლექსები. სხვადასხვა დროს თარგმა პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, პიუგოს ნაწარმოებები.

დაიბადა 1813 წლის 9/22 სექტემბერს, სოფელ ოძისში, დავით ერისთავისა და მარიამ ქობულაშვილის ოჯახში. 1821 წელს სწავლის მისაღებად, მმობლებმა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. ოთხი წლის შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება მოსკოვის კერძო პანსიონში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, სამხედრო სამსახურში შედის (1827). 1832 წელს, მუშაობას იწყებს ბარონ როზენთან და მონაწილეობას იღებს ყაზი-მულას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, რისთვისაც მიიღო „კავალეგრიის პრაპორშიკის“ ჩინი.

გიორგი ერისთავმა ლიტერატურული მოღვაწეობა XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდს უკავშირდება სოლომონ დოდაშვილის „ამხანაგური წრის“ და გაზეო „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანის“


საქმიანობაც. გაზეთი ქართველ მოღვაწეთა ნააზრევის, მათი მისწრაფებებისა და საქმიანობის, ეროვნული იდეის მქადაგებლისა და ქართული ენის დაცვის ტრიბუნს წარმოადგენდა. წწორედ აქ დაბეჭდა (1832) გიორგი ერისთავმა დრამატული პოემა „ოსური მოთხრობა“. პოემა ავტორმა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას მიუძღვნა. მე-17 საუკუნის სურათების გაცოცხლება, – ისტორიული წარსულის ჩვენება – ერისთავის თანამოაზრეთა „ფარული საზოგადოების“ პოზიციას: „შესწირე თავი მამულსა მსხვერპლად...“ გამოხატავდა.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ერისთავი აქტიურად ჩაება ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მონაწილეობდა საოჯახო წარმოდგენებსა და ლიტერატურულ საღამოებში. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი და უცხოეთიდან ჩამოსული სწუმრები. ნიკოლოზ ბარათაშვილმა აქ წაიკითხა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“. რომან ბაგრატიონის ოჯახში დაიდგა გრიბოედოვის „გაი ჭკუისაგან“. მანანა ორბელიანი, რომელიც ხელოვნების დიდი მოყვარული იყო, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ამგვარი საღამოების მოწყობაში. გიორგი ერისთავიც მისი ხშირი სტუმარი იყო და სხვა მონაწილეებთან (ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფანი, მ. თუმანიშვილი და სხვ.) ერთად ლექსებს კითხულობდა. მანანა ორბელიანის სალონში დაიბადა იდეა ქართული საექტაკლების მოწყობისა და პიესების თარგმნისა. წწორედ ამ იდეის კარნახით თარგმა დიმიტრი ყიფიანმა „რომეო და ჯულიეტა“, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლეიზევიცის ტრაგედია „უცნობი ტარანტელა“, გიორგი ერისთავმა კი „ვეფხისტყაოსანი“ გაასცენირა.

სპექტაკლების გამართვისა და თეატრის დაარსების იდეა ქართულ საზოგადოებაში უკვე მომწიფებული იყო, როცა საქართველოში მეფისნაცვალი თავადი მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა. მან ჩამოსვლისთანავე, 1845 წელს უდიდესი დახმარება გაუწია რუსული დრამატული თეატრის ჩამოყალიბებას, – ჩამოიყანა პეტერბურგისა და მოსკოვის ცნობილი მსახიობები (იაბლოჩკინი, ივანოვი,

ბურდინი და სხვები). რუსული თეატრის ჩამოყალიბების შესახებ პეტერბურგში მყოფ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ჩერნიშვეს, ვორონცოვმა წერილი მისწერა: „კავკასიის შხარეში ჩამოვდი თუ არა პირველ წელს ვე მე სასარგებლოდ ვცანი თბილისის საზოგადო რუსული თეატრის დაარსება... რუსული თეატრის არსებობას უნდა შევუძოთ არა მარტო, როგორც სიამოვნებისა და გართობის საშუალებას, არამედ როგორც ისეთ დაწესებულებას, რომელსაც აქვს დასახული მნიშვნელოვანი მიზანი, განსაკუთრებით „ტუზემცებისთვის“ რუსული ენის, რუსული ჩვეულებების გასაცნობად და რუსეთთან მათი თანადათანობით დაახლოებისათვის“.¹

XIX საუკუნის 40-იან წლებში, მეფის მთავრობამ კავკასიაში შემოღებული მმართველობის სამხედრო სისტემა, შედარებით უფრო დახეცილი სისტემით შეცვალა. მიზანი – „ტუზემცების რუსეთში გათქვევის“ (ვორონცოვი), იგივე დარჩა, მხოლოდ მეთოდები შეიცვალა. ვორონცოვის პლიტიკა უფრო მშვიდობიანი და დიპლომატიური იყო. ცდილობდა ქართველებში ნდობის მოპოვებას, თავის მეუღლესთან ერთად, ხშირად სტუმრობდა თავად-აზნაურთა ოჯახებს და თავადაც მასპინძლობდა. ვორონცოვმა, როდესაც შეიტყო ქართული საზოგადოების სურვილი, თეატრის დაარსების შესახებ, მხარდაჭერა გამოუცხადა და გიორგი ერისთავს დახმარება აღუთქვა. როცა ერისთავი ვორონცოვს შეხვდა „გაყრა“ უკვე დაწერილი ჰქონდა. ვორონცოვს მისთვის უთქვამს: „სანამ რუსულ ენაზე გადმოთარგონდნენ ამ კომედიას შეუდექით და უთხარით ყველა სცენის მოყვარულ ქართველებს, რომ ისწავლონ როლი და თქვენი ხელმძღვანელობით წარმოადგინონ თქვენი კომედია თბილისის გიმაზიის სცენაზე. მათინ ჩვენ ვნახავთ, როგორა თქვენი ნაწარმოები და როგორი ნიჭი აღმოგაჩნდებათ ქართველებსთ“.²



პირველი წარმოდგენა 1850 წლის 2/14 იანვარს, ვაჟთა გამნაზიის სააქტო დარბაზში გაიმართა, რომელიც მხატვარ გაგარინის მიერ შესანიშნავი დეკორაციებით იყო მორთული. ეს იყო უდიდესი მოვლენა XIX ს-ის ქართული თეატრის ისტორიაში. სააქტო დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. სპექტაკლის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც იმ ხანად თბილისში არ იყოფებოდა, ილია ორბელიანს წერდა: „ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი კამედია ვერა ვნახე. ჩემი ილიკო გთხოვ გამომიგზავნო ეგ კამედია“. რუსული გაზეთები „ზაკვაზები“ და „კავკაზი“ სპექტაკლებს წერილებს უძღვინან. აქებენ პიესას და მსახიობთა შესრულებას. აღინიშნა გიორგი ერისთავის თამაშიც – მიკირტუმ გასპარინის როლში. თეატრის ირგვლივ თავი მოიყარა ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. დიმიტრი ყიფანიანა, თეატრის მემატიანებ და კრიტიკოსმა მიხეილ თუმანიშვილმა, ღრამატურგმა ზურაბ ანტონოვმა, ივანე ეკრესელიოძემ, რომელიც ჯერ რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა, შემდეგ კი თეატრის ხელმძღვანელად. გიორგის ერისთავის დასი წარმოდგენებს ჯერ მანეჟის, 1851 წლიდან კი ახლად აშენებულ ქარვასლის თეატრში მართვდა. გიორგი ერისთავი ბერეს მუშაობდა მსახიობებთან. უხსნიდა მათ სასცენო ხელოვნების მინშენელობას, მსახიობის ოსტატობაში წვრთნიდა, ავარკვიშებდა. მოგვანებით, მიხეილ თუმანიშვილი მსახიობებზე დაწერს: „განსაციფიურებელია ის, რომ ასე არაჩვეულებრივი სისწრაფით და მოხერხებით შეეგუენ მათთვის უცნობ გარემოს, როცა მათ ამისთვის თითქმის არაგითარი ცოდნა და განათლება არ ჰქონდა“. დროთა მნიშილზე თეატრის რეპერტუარიც და მსახიობთა რაოდენობაც გაიზარდა. თავდაპირველად დასი არისტო კრატიული წრის წარმომადგენლებისგან შედგიოდა, შემდეგ მათ ჩაენაცვლათ აზნაურები, ვაჭრები, დასახლისი ქალები. მსახიობები ძირითადად კორის მაზრიდან იყვნენ.

გიორგი ერისთავის საზოგადო მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. იმ დროს როცა წერდა პიესებს და თეატრში აქტიურად მუშაობდა, სხვა საქმებისთვისაც იცლიდა. 1851 წელს ინშენება ქართული ენის ცენზორად კავკასიის საცენზურო კომიტეტში, მაგრამ ერთი წლის შემდეგ თანამდებობა დატოვა. ამავე დროს უერნალისტურ საქმიანობასაც ეწოდა. უერნალ „ცისკრის“ გამოცემის ნებართვის მისაღებად, მან ვორონცოვს თხოვნით მიმართა, შეამდგომლობა გაეწია იმპერატორის წინაშე. ვორონცოვიც დათანხმდა „შემწეობა მისცა“. უერნალი პირველად 1852 წელს გამოვიდა. (1852-1853 წლებში, რედაქტორობდა გიორგი ერისთავი). „ცისკრიში“ იძეჭდებოდა თანამდებროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებები, აქ პირველად დაბეჭდა თემურაზ პირველის, ვახტანგ ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქმნილებები. უერნალი საშუალებას აძლევდა ქართველ მკითხველს, გაცნობოდა ევროპელ და რუს მწერალთა ახალ თარგმანებს.

ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა გიორგი ერისთავის მოღვაწეობას. 1863 წელს, მან გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბეში“ კომედია „შეშლილი“ და ერისთავისული თარგმანი „ვაი ჭეუისაგან“. ილია წერილში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ აღნიშნავდა: „თ.გ. ერისთავს ორი დიდი სამსახური

ლურჯი

მიუძღვის ჩვენს წინაშე, ერთი ისა, რომ ჟურნალი შექმნა
და ამით ღონისძიება მიეცა ჩვენთა აზრთა დენას შინიდამ
გარეთ გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალთათვის
აზრთა წყარო ეშია...


მეორე ღვაწლი გ. ერისთავისა ის იყო, რომ შეპქმნა
ქართული თეატრი და სათეატროს მწერლობის მამამთავრად
მოგველინა“.³

გიორგი ერისთავს სახელი, პირველ რიგში მისმა
კომედიებმა გაუთქვა, მათ განსაზღვრუს თეატრის
კრიტიკულ-რეალისტური მიმართულება. „გაყრა“, „დავა“,
„ძერწი“, „თილისმის ხანი“, „შეშლილი“, „უჩინმაჩინის
ქუდი“, ისტორიული დრამა „ყვარცვარე ათაბაგი“ და
სხვები, თანამედროვე საზოგადოების საჭირობოოფოტო
პრობლემებს ეხება. სავაჭრო ბურუუაზის – ახალი
კლასის წარმოშობამ, ქართველ მემატულეთა ეკონომიკური
საფუძვლები თანდათანობით მოშალა და მელ თაობაში
გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. სავაჭრო კაპიტალის
შემოჭრა ფეოდალურ-პატრიარქულურ მეურნეობას
ანადგურებდა. ამ სოციალური ცვლილებების ფონზე
წარმოდგენილი სხვადასხვა კლასის ყოვა-ცხოვრება,
ნაცნობი გმირებისა და სიუჟეტების ჩვენება, ქართველ
თავადაზნაურთა (ანდუეფავარი, ონოვრე, პავლე, ივანე და
სხვები), გამდიდრებულ გაჭართა (მიკირტუმ ტრადადოვი,
კარაპეტა დაბალვი და სხვები), თვითმშერიბელური
რუსეთის უფიც და მექრთმე ჩინოვნიკთა (ხარიტონ
ვზიატკინი, სარქის კუმუხტოვი და სხვა) საქმიანობა,
ადამიანის მეშმანური ყოფისა და მათი მანკიერი მხარეების
კრიტიკა გულგრილს. არ ტოვებდა მაყურებელს.

1854 წლისთვის ქართული თეატრის მდგომარეობა
საგრძნობლად გაუარესდა. თეატრის დირექტორის,
ბოგდანოვის ანტიქართული საქმიანობაც, ამ პერიოდში
უფრო თვალშესაცემი გახდა. ერისთავს დასს ჯერ
სარეპეტიციო ადგილი, ხოლო შემდეგ წარმოდგენებისთვის
გამოყოფილი დღეები წაართვა, ბილეთები გაუძირა და
ქართული წარმოდგენები იტალიურ იპერებს და რუსულ
წარმოდგენებს მიაბა. საბოლოოდ ბოგდანოვმა ქართული
თეატრისთვის, ბიუჯეტის შემცირება, შემდეგ კი, თეატრის
დახურვაც მოითხოვა. გ. ერისთავი ფარ-ხმალს არ ყრიდა,
მთავრობაში წერილებს აგზავნიდა, თეატრის შენარჩუნებასა
და მსახიობებისთვის ხელფასების გაცემას მოითხოვდა.
სამართლიანობის ძებნაში დრო გადიდა. ვერაფერს, რომ
ვერ მიაღწია გიორგი ერისთავი თეატრიდან 1854 წელს
იძულებით წავიდა...

ერისთავის წასკლის შემდეგ, თეატრს სათავეში ჩაუდგა
ჯერ ზურაბ ანტონოვი, მოგვიანებით კი ივანე კერესელიძე.
ნიკოლოზ I-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით,
თბილისში სანახაობების გამართვა აიკრძალა. რამდენიმე
თვეში რუსულმა დასმა მუშაობა გააგრძელა, ქართულმა
კი ვერა. 1856 წლის 7/19 ივნისს ივ. კერესელიძემ და ნიკ.
ყანჩელმა მეფისნაცვალ მურავიოვს თხოვნით მიმართეს,
გიორგი ერისთავის დასისთვის მიეცათ შესაძლებლობა
სახაზინო თეატრში წარმოდგენების გამართვისა, მაგრამ
უარი მიიღეს. 1856 წლის ივნისის თვეში გიორგი
ერისთავის თეატრმა არსებობა შეწყვიტა.

გიორგი ერისთავი 1864 წელს გარდაიცვალა ქ.
გორში, დაკრძალულია სოფ. იკორთაში. ქუნ. „ცისკარმა“
(1864 №9) მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ივ.
კერესელიძის ნეკროლოგი გამოაქვეყნა: „ეს იყო მიზეზი



ქართული თეატრის დაფუძნებისა, ეს იყო მიზეზი, რომ
ასეთი ვრცელი რეპერტუარი შესდგა ჩვენს სამშობლოს
ენაზედ. ამან განაღვიძა მრავალი ნიჭი და ააღებინა ბევრს
კალამი ხელში. რომელი იქნება ისეთი გრძნობა გაციებული
ქართველი, რომელი იქნება ისეთი კაცი, რომელსაც
კი ესმის მწიგნობრობის ძალა, დაივიწყოს „გაყრას“
მთხველი. იმ სამაგალითო კომედიისა, რომელსაცა დიდი
გავლენა აქვს და ექნება ჩვენში რამდენიც უნდა წელიწადი
გავიდეს“.

1. სერგო გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 38;
2. დავით გამეზარდაშვილი, გიორგი ერისთავი, თბ., 1949, გვ. 80;
3. ილია ჭავჭავაძე, კრებული ათ ტომად, ტ III., თბ., 1953, გვ. 221.

მაია პიპაძე

ლურჯის კისვაზობის 2013 წელი გამოცემი დამტკიცებული წერილების მიხედვის წერილი

„ჩემი პამლეტი“

სპექტაკლის შემდეგ დაცარიელებულ და არუცლ საგრიმოროში შემოდის დამლაგებელი (ქეთი ცხაკაია) და იწყებს ლაგებას. თანდათან ირკვევა, რომ ეს ქალბატონი შეფარებულია თეატრზე, მან ოთხჯერ სცადა ჩაბარება თეატრალურ ინსტიტუტში, სამწუხაროდ, ოთხჯერვე უარით გამოისტუმრეს ახლომხედველობის გამო. მართალია, მან ვერ მოახერხა სცენაზე თავის წარმოჩენა, მაგრამ თეატრალურ სამყაროს მაინც არ მოსწერა, მისი სიყვარული იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ



თეატრში დამლაგებლად მუშაობას შეუდგა. ამ ამბის თხრობით იწყება მარჯანიშვილის თეატრის სხვენში ბესო კუპრეიშვილის სპექტაკლი – „ჩემი პამლეტი“. საგრიმოროს ლაგებისას ქეთი ცხაკაიას პერსონაჟი სხვადასხვა ნივთებს აწყდება, რომელთა დაკავშირებასაც ცდილობს შექსპირის პიესებთან – იღებს იატაკზე დაგდებულ თეთრ ცხვირსახოცს და ამბობს: „ილოცე ძილის წინ, დეზდემონა...“ შემდეგ დამჭერარი ყვავილების პატარა თაიგულს მიმართავს – „ოჰ, ყვავილი, ოფელიას ყვავილი...“ ამ ეპიზოდიდან კარგად ჩანს, რომ დამლაგებელ ქალს აქ, თეატრში თავისი სამყაროსთვის მიუგნია: მას უყვარს აქაურობა, ყოველ ნივთს ეფერება, თითოეულის დანაშნულება იცის, ყოველ მათგანს დიდი სინაზით ეყრობა.

დამლაგებელი ზელში შექსპირის წიგნსაც იღებს, გაისმის მისი სიტყვები: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!..“ იცვლება დეკორაცია. საგრიმოროს სარკე, მაგიდა, სკამი მოულოდნელად სხვა დანაშნულებას იღებს. დეკორაციას არაფერი ემატება, მხოლოდ რეგიზირების განლაგება იცვლება და სწრაფადვე იცვლება მაყურებლის დამოკიდებულებაც.

ბნელდება სცენა და ნათდება სარკე. ამ სარკეში შედის მსახიობი, როგორც სხვა სამყაროში. ეს „პამლეტის“ (პიესის) სამყაროა, თოჯინებით წარმოდგენილი.

ისინი გაქვავებულები, თვალდახუჭულები, მაგრამ მხედველი, მეტყველი სახეებით ერთმანეთს შესცერიან. მაყურებლისთვის კი მოულოდნელობის ყველაზე დიდი ეფექტი შეიძლება ის იყოს, რომ ქალი იქცა პამლეტად, დანის პრინცად. უცნაური მოულოდნელობა!.. ეფექტი მით უფრო ძლიერია, თუ მაყურებლებმა არ იცის, რომ პამლეტის როლი ქალს სხვა დროსაც, სხვა ქეყნაშიც უთამშია. მაგალითად, სარა ბერნარს, მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგ მსახიობს – ვირტუოზული, დახვეწილი ტექნიკითა და არტისტული გემოვნებით გამორჩეულს, ყოველთვის გამაოგნებლად წარმატებულს და თუ ესეც ვიცით, არ შეიძლება ორმაგი მოწიწება არ გაგვიჩნდეს ქეთი ცხაკაიას მსახიობური ამბიციის მიმართ – მან ხომ საკუთარი თავის გაიგივება უნდა შეძლოს დანის პრინცად. ამავე დროს, პიესის ყველა როლიც თავად უნდა შეასრულოს და თანაც ისე, რომ ყველა პერსონაჟი თოჯინური იყოს. როული და გაბედული მსატვერული ამოცანაა! თითქმის მიუღწეველი.

მიუღწევლის მიღწევის ცდად მიაჩნდა პამლეტის როლის ადეკვატური შესრულება უისტენ რდენს, პოეტისა და დრამატურგს, რომლის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე მხატვრულ აზროვნებაზე. მის „ლექციებში შექსპირის შესახებ“ ვკითხულობთ: „უცნაურია, რომ ყველა ცდილობს საკუთარი თავი პამლეტთან გააიგივოს, ქალებიც კი – სარა ბერნარმა მოახერხა და თამაშა პამლეტი. სიხარულით მინდა გაცნობოთ, რომ სპექტაკლზე მან ფეხი მოიტეხა. “ოდენის „ნიშნის მოგება“, რა თქმა უნდა, რიტორიკული ხერხი იყო და არა ღვარძლიანი ირონია, რათა სტუდენტებისთვის გამოკვეთილად მიერთებინა საკუთარი აზრი, რომ შექსპირის „პამლეტი“ ტრაგედიაა, რომლის მთავარი როლი კერ კიდევ ვაკატური რჩება, ანუ, აქ როლი ტრაგიკული მსახიობისთვის ჯერ არავის მიუღლია. ეს 1946 -1947 წლებში ნიუ-იორკში წაკითხულ ლექციათა კურსში ითქვა. მას შემდეგ მსოფლიოს მრავალ თეატრში, მრავალი პამლეტი განხორციელდა. დღეს რას იტყოდა ოდენი, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ყველას, თავისი პამლეტი ჰყავს. ვიქტორი, ამაზე მიუთითებს წარმოდგენის სახელწოდებაც – „ჩემი პამლეტი“.

ვინ არის იგი? იმ სახელმწიფოს ტახტწაროთმეული პრინცი, სადაც ყველაფერი „დალა“ თუ ფილოსოფიურად მოაზროვნე სტუდენტი, რომელიც სულ ახლახან ჩამოსულა ვიტებერგის „უნივერსიტეტიდან“ (იმ ვიტებერგიდან, მასონთა აქტიურობა რომ არ უკვირთ) ან იქნებ შურისმაძიებელი, რომელიც კლავდიუსსა და პერტრუდას ეჭვებს აღუძრავს, რომ იგი შეთქმულებას უწყობს მათ, ან იქნებ პამლეტი მართლა შეშლილია დარდისგან, რომ მისი აღვირახსნილი დედა თავისი

ქმრის მკვლელს, საკუთარ მაზლს ანუ ჰამლეტის ბიძას, გაჰყოლია ცოლად? იგი შეძრული უნდა იყოს ყველაფრით: დედის უზნეობით, მამის მკვლელობით, ბიძის ვერაგობითა და დაუნდობლობით, დანის სამეფო ტახტის დაკარგვით, რომელიც ბიძამ უკანონოდ წაართვა. აქ გავიჟებისთვის სამაო საფუძველია. მაგრამ იგი ნამდვილად არ არის შეშლილი, ასეთად მხოლოდ თავს გვჩვენებს. ამ პიესის მრავალი ინტერპრეტაცია და ადაპტაცია არსებობს. მრავალი განსხვავებული ჰამლეტი და ოჯელია უნახავს მაყურებელს, განსაკუთრებით გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა დღის წესრიგში დადგა ტრადიციით დამბიმებულ-დახავსებული ტექსტის გადასინჯვის დრო.

ძიების გზაზე ფრანკო ძეფირული აღმოაჩინა გასაღები, რომლითაც უნდა „გაეხსნა შექსპირი“ თანამედროვეთათვის. ეს გასაღები იყო „ერთგვარი დამიწებისა და ცხოვრებასთან მიახლოების“, გაუბრალოების ხერხი. ამ მეთოდით ლონდონში დადგმულმა „რომეო და ჯულიეტამ“ წარმოუდგენელი წარმატება მოიპოვა. შემდგომში ძეფირული გულახდილად ჩამოაყალიბა თავისი ადაპტაციის პრინციპი. იგი წერდა: „რატომ უნდა იწყენდეს პუბლიკა შექსპირის სპექტაკლებზე? მე სრულებითაც არ მენაღვლება ტრადიცია, სრულყოფილი დიქტა თუ სტილიზებული მოძრაობები – ყველაფერი, რაც ტანიბრივია შექსპირის დადგმებში! ვის სჭირდება ეს ჩვენს დროში?... ვერ ვიტან, როცა შექსპირი გაქვავებულია სცენაზე, გაყინული. ის ისეთი გენიალურია, რომ მისი პიესების დადგმები სიცოცხლითა და სისხლით უნდა ფეთქეავდნენ“. მიუხედავად ასეთი დეკლარაციის, ძეფირულის მეთოდი მასკულტურის პროდუქტთა ფაბრიკაციის საშუალებად არ ქცეულა. მან კი ადაპტაციის გენიოსის სახელი მოიხვეჭა.

ცხადია, რომ „ჰამლეტის“ ტექსტს აღარ მოუხდებოდა უშუალობისა და უბრალოების ის გასაღები, რომელიც ძეფირული აღმოაჩინა. ამიტომ პიესის „დამიწებისა და ცხოვრებასთან მიახლოებისთვის“ მან თანამედროვე ფრონდიზმის სულისკვეთების შესაბამისი მიდგომა გამოიყენა. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, რეჟისორმა ჰამლეტში „დაინახა“ უმწიფარი ჭაბუკი, ზრდაშეჩერებული ბიჭუნა, რომელსაც დედისა და

სბულს მამა და თხზავს მითს მის შესახებ მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ ეს მითი თავადვე დაამსხვრიოს; სბულს მთელი სამყარო, რადგან ეს სამყარო უფროსებს ეკუთვნით; ოჯელია ფრუსტრაციის ტაპიბრივი შემთხვევაა, ფორტინბრასი იმედს კი არ განახორციელებს, არამედ ჰამლეტის უკანასკნელ იმედგაცრუებას; იგი ერთი უღიმდამი ოფიცერია... სხვა ადაპტაციებსა და ინტერპრეტაციებს არ შევეხბი, როგორც აღვინიშნე, ისინი ბევრია თეატრსა და კინემატოგრაფში. ასევე, ტელევიზიასა და ლიტერატურული ესტრადის ფიცარნაგზე. გავიზსენოთ მონოსპექტაკლები, რომელებიც სხვადასხვა თაობის წარმომადგენელ ხელოვანს მაგალითად, ინგლისელ ჯონ გილგუდს, რუს გვალიმერ რეცეპტერს, მის თანამებამზულე ვლადიმერ ვისოცკის, მოსკოვის თეატრ „ტაგანკის“ სპექტაკლში, რომლის დამდგმელი რეჟისორიც იყო სკანდალურად სახელგანთქმული იური ლუუბიმოვი (ეს უკანასკნელი ახსოვს ძველი თაობის თბილისელ მაყურებელს). ზოგიერთი მათგანი, მაყურებლის წინაშე წარმდგარა პირისპირი დეკორაციისა და სპეციალური განათების გარეშე... ამგვარი მრავალფეროვნება ზოგადად იმას მოწმობს, რომ გამეორება არ არის ხელოვნების ამოცანა.

ცხადია, ეს ამოცანა არ დაუსვამთ „ჩემი ჰამლეტის“ შექმნებაც. ქეთი ცხაკაიას აქტიორულმა ინდივიდუალობამ, თეატრალური აზროვნების თავისუფლებამ და ბესო კუპრეიშვილის ჩანაფიქრობნ თანხვედრამ შესაძლებელი გახადა ახალი, განსხვავებული ჰამლეტის დაბადება სცენაზე – ჰამლეტის პერსონაჟის, რომელიც მთლიანად იტევს თეატრს. ეს ხორციელდება არა მარტო გარდასახვათა ფეთქერვერკით, არამედ იმ როული სქემით, რომლის აღმოჩენა შეიძლება ამ გარდასახვაში (ვეულისახმობ რადგენიმე სახის გარდასახვას, რომელსაც ქეთი ცხაკაია აღწევს). პირველი გარდასახვა, რომლის გარეშე არ არსებობს თეატრი და რომელიც სცენის გარეთ ხდება, არის მსახიობის მოვლინება დამლაგბელი ქალის როლში; ეს ქალი და არა ქეთი ცხაკაია, გარდაისახება ჰამლეტად; ორმაგად გარდასახული გარდაისახება თოვლინების გამთამაშებლად, რომელიც „თოვლინურად“ ასრულებს – თოვლინების მეშვეობით ქმნის პერტუდას, კლავდიუსის, პოლონიუსის, ლაერტის, ოჯელიას, მესაულავის, როზენგრანცის, გილდენსტერნის მხატვრულ სახეებს. გამთამაშებელი გარდაისახება თოვლინად და ასეთი თოვლინა რვაა, ცალ-ცალკე ესენიც ახალი როლები და მსახიობის გარდასახვა, მაგრამ, ასე ვთქვათ, პარალელური და არა შერებირივი. შერე ხუთი გამოიდის, თუ არ შევცდი, ე. ი. ხუთმაგ გარდასახვას განიცდის ერთდროულად მსახიობი, ოდენობით კი – უფრო მეტს, თუ დაუუმატებთ მინითეატრში (გონზაგოს მკვლელობის ამბავი) მის მონაწილეობას და ყველაფერს შევკრებთ. რა თქმა უნდა, მაყურებელს ეს არ ამძიმებს, ის არ აანალიზებს ამას, აღიქვამს მსახიობის მოშხიბლავ თამაშს და არ ფიქრობს იმ უცნაურობაზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. გარდასახვათა ეს ხლართი, რომლის მსგავსიც, არ



კასტრაციის კომპლექსი აწვალებს, არ იცის ქალი, აქვს ჰამლეტშუალური მიდრეკილებები (ლაერტი უყვარს),

გამიგონია და რომელიც შეიძლება უნებლივდაც შეიქმნა (შედეგისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს), ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რაღაც ამაში გხედავ „ქეთი ცხაკაიას პამლეტის“ გასაღებსაც და სხვა პამლეტობან მის განსხვავებასაც.

როგორ უნდა გადმოიცეს არაცოცხალი მასალით (ზით, რეზინით, პლასტმასით და ა. შ.) ადამიანთა გრძნობები, განცდები, ვნებანი და ის დიდი ტრაგედია, რომელიც სულ მაღლე აქ დატრიალდება?.. რეჟისორის მიერ მიგნებული ფორმებით, სხვულის დეფორმირებული ნაწილებით, უცნაური მოძრაობებით. ამ თოჯინებს „მიმიკაც“ კი აქვთ, ღიმილისა და ტანჯვის გამომხატველი, თუმცა სახეზე ნაკვთი არ უკრთით. დანის დედოფალ პერტრუდას სახის „მიმიკაც“ შექმნილები უცვლის: ყურებამდე გაღიმებული სახე, უეცრად შეიძლება ტანჯული ქალის სახედ იქცეს; კლავდიუსს, რომელსაც დრამატურგმა ბოროტი და მზაკვარი ადამიანის როლი არგუნა, დიდი ცხვირი და დიდი ოთხკუთხა ყბა აქვს, თვალები კი გადმოკარგლული. ხმა, ინტონაცია, ტემბრი - მსახიობს საშუალებას აძლევს შეზღუდული ფაქტურით (ზე მაინც ზეა, თოჯინა კი – თოჯინა), საინტერესო სახეები შექმნას. წარმოდგენაში რეზინის თოჯინებიც მონაწილეობენ - როზენკრანცი და გილდენსტერნი – ხორთუმისცხვირა დილოთვალა არსებები, რომლებსაც ქეთი ცხაკაია ხელებზე ჩამოიცვამს კრივის ხელთამანებივით და ისე ურტყმას ერთმანეთს, თითქოს კრივში იმართებოდეს შეჯიბრი. გამორჩეულია ოფელია – მშვიდი, ნაზი და ტანჯული; ცოცხალი ადამიანივით მოძრაობს მესაფლავე, მისი მიხრა-მოხრა ადამიანის სიარულის ადეკვატურია. გამომსახველია თოჯინა, რომელიც პამლეტს ამცნობს ლაერტოან დუელში გაწვევის ამბავს. იგი ძალიან პლასტიკურია, ამავე დროს სახიერი – თავზე წვრილი ნემსების თბა აქვს, ხოლო გრძელი ყელის ნაცვლად – ზამბარა. ის იგრიზება და გველის ასოციაციას იწვევს იმდენად, რომ თითქოს სისინიც ისმის.

ყოველგვარი ზედმეტი დეკორაციის გარეშე, მარტივად და საინტერესოდ გადმოგვცა სათქმელი მსატვარშა ვახტანგი

ქორიძემ. არაფერია სცენაზე მაგიდის, სკამის (შავი ყუთი), სარკისა და უჯრების გარდა, რომლებსაც კუბოს ფორმა აქვს. მათი მეშვეობით სასაფლაოს სცენა მშვენივრად არის გადმოცემული. საგრიმიორო სარკესაც აქვს სხვა დანიშნულება, ის წარმოადგენს თოჯინების მინითეატრის თეჯირს, რომლის საშუალებითაც პამლეტი სამეული რვახს აჩვენებს სპექტაკლს გონიაზოს მკვლელობის შესახებ.


მუსიკალური გაფორმება (იოსებ ბარდანაშვილი) ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი შტრიხია ამ სპექტაკლში. მელოდია თემატურად მიჰყვება სცენაზე განვითარებულ მოვლენებს, ის ახერხებს მაყურებლის მონუსხვას და აიმულებს, იფიქროს იმ პრობლემაზე, რაც სცენაზე დგას.

ჩვეულებრივი სპექტაკლისგან განსხვავებით, მონასპექტაციი უფრო მონოტონური და მინორულია, ნაკლები აქტიურობა და მრავალფეროვნებაა ხოლმე მასში, რაც ამ წარმოდგენას ნამდვილად არ ახასიათებს. ეს, დამდგმელ ჯგუფთან ერთად, ქეთი ცხაკაიას უდავო დამსახურებაა. იგი მსახიობია, რომელსაც არ სჭირდება ანშლაგი იმისთვის, რომ სრული დატვირთვით თამაშოს, სათქმელი ბოლომდე თქვას. სწორედ ამ სპექტაკლში შესრულებული როლისთვის მიიღო მან დურუჯის პრიზი.

წარმოდგენა დასასრულს უახლოვდება, ვბრუნდებით ისევ საგრიმიოროში. პამლეტი ისევ მეოცნებე დამლაგებულია, ყველა გარდასახვა დამთავრებულია, ერთის გარდა. თეატრზე შეყვარებული ქალი, რომელიც თვითონ აღმოჩნდა მოელი თეატრი – ქეთი ცხაკაია – ამჯერად დაღლილი და მოუნებული მიწვება მაგიდაზე და ისევ „თავისი პამლეტის“ სიტყვებს წაილუდლუდებს: „სხვა რადა დარჩა, საუკუნ სიჩუმე მხოლოდ“...

ცუცა კობაიძე,

თეატრმცოდნების სპეციალობა, IV კურსი
სელმბლვანელი: გია ცქიტიშვილი



Warhol by
Galella
That's Great!

პაკარაცების ნათლიმააბა

ფოტოვრაფია, მერძნობარე მასალაზე, როგორიცაა ფირი ან კლუბურნული სენსორი, მყარი ან მოძრავი სურათების შექმნის პროცესი და ხელოვნება.

„ფოტოვრაფია ის დოკუმენტია, როგორსაც შეხვავს თვალებისა და გულის ძრინება ადამიანი და ივრძობს, რომ მსოფლიოში გველავერი კარგად როდება. “რობერტ კაბას ამ სიტყვებს თითქმის სრულიად ეწინააღმდეგება „ამერიკელი პაპარაცების ნათლიმაბად“ წოდებული ფოტოვრაფის რონ გალელას შემოქმედება, სადაც ყოველთვის პოპულარული ვარსკვლავების ზღაპრული ცხოვრებაა ასახული. ცნობილი ვარსკვლავების აჩრდილი, მათი დევნის გამო ხშირად გახვეულა უსიამოენებაში. ყაკლინ კენედი ონაისმა, რომელსაც გალელა, საინტერესო კადრის გადაღების მიზნით, მუდმივად თან სდევდა, ორჯერ

თუმცა, როგორც დროთა განმავლობაში აღმოჩნდა მისმა ფოტოებმა შემოინახა ამ ადამიანების უცნაური და ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი სილამაზე. ისინი შეიძლება არასოდეს გამხდარიყვნება ასეთი პ ი პ უ ლ ა რ უ ლ ე ბ ი მის გარეშე. კატრინ დენევი, ბრიჯიტ ბარდო, მაიკლ ჯექსონი, ჯულია



რობერტსი, მიკ ჯაგერი, ელვის პრესლი — ეს იმ ვარსკვლავთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა ფოტოებიც რონ გალელას ფოტოსაცავში მოხვდა. გალელა ფოტოებს საკუთარ სახლში სტუდიის ტიანის ბნელ ოთახში ამჟღავნებდა, ფოტოებს, რომლებმაც შეძგიმ გალერეებსა და მუზეუმებში გადაინაცვლა. მათ შორის, სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში და ფოტოგრაფიის მუზეუმში ბერლინში.

უურნალები რომლებშიც გალელას ფოტოები იძეჭდებოდა შემდეგია:

HARPER'S BAZAAR, VOGUE, VANITY FAIR, ROLLING STONE, THE NEW YORKER და სხვა. უურნალ „TIME-მა“ XX საუკუნის ცნობილ ჰაბარაცს,




ფოტოაპარატით ხატვის ნიჭის მქონე უბადლო ოსტატს, „ამერიკელი ჰაბარაცების ნათლიმამა“ უწოდა.

ჰარი ბენსონი, ანრი კარტიე, რიჩარდ ავედონი, სტივ შაპირი, რობერტ კაპა — მათ სათავეში უდავოდ მოექცევა ფოტოგრაფ რონ გალელას სახელი. სტივ მაკარი ამბობდა: „მეტყველ სახეს შეუძლია მთელი ისტორია მოგიყვეთ, მე სწორედ ასეთ სახეებზე ვნადირობ გამუდმებით“. ამასვე ემსაურება გალელას ფოტო-ობიექტივი „უხილავი“, თუ ხილული სამყაროს აღმბეჭდავ ფოტოხელოვანის ხელში.

გალელა კორეის ომის დროს აშშ-ს საავიაციო ძალებში ფოტოგრაფად მსახურობდა. ის სწავლობდა ხელოვნების კოლეჯში ლოს-ანჯელესში, კალიფორნიაში. 1958 წელს მიიღო ფოტოურნალისტის სარისხი, მას შემდეგ ის ცხოვრიბს მონტევილში, ნიუ-ჯერსიში ცოლთან ბეტი ბიურკ-გალელასთან ერთად.

ლეონ გასტის ფილმი „დაუშსხვრიე კამერა“ დოკუმენტურია და ასახავს გალელას ცხოვრებასა და შემოქმედებას. 87 წელიანი ფილმი ამერიკაში 2010 წელს გამოვიდა. მასში განხილულია ისეთი კომპლექსური საკითხები, როგორიცაა კონფიდენციალურობის უფლება, პრესის თავისუფლება, ცნობილი ადამიანების გაცერპება და ა. შ. გალელას ფოტო-კატალოგი ასიათასობით პოპულარული ადამიანისა და მოვლენის ამსახველ კადრს იტევს. კადრები, მისი ფოტოსაცავი, სახლი, გარემო, სადაც ის ტრიალებს — ეს ყოველივე ფილმში ნათლადაა წარმოდგენილი. ინტრიგანადებული საინტერესო სათაური



მალიან უხდება ამ პიროვნების ცხოვრების ამსახველ კინოსურათს. ის არის დიდი პიროვნება, რომელიც ერთი დანახვით ხიბლავს კველას თავისი ორიგინალურობით, ცოტაოდენი სიხისტით, ირონიით და გენიალურობით. ერთ დროს ვარსკვლავთა მეხოტებედ ქცეული გალელა უდავოდ იმსახურებს მათ შეგავსაძ იქცეს ვარსკვლავად, ამჯერად ფოტოგრაფიის კერძად. ფილმში იმდენად დადგებითი და სასიამოვნოა გალელას სახე, რომ მაყურებელს უჩნდება მის სამყაროში შესვლის და ამჟამად მისი ცხოვრების დევნის სურვილი. „დაუშსხვრიე კამერა“ 2010 წელს საუკეთესო დოკუმენტური კინორეჟისურის პრიზი მიიღო Sundance film festival-ზე. ის წარდგენილი იყო BIAFF-ზე 2011 წელს. გალელას შემოქმედებას, მხატვრულ მანერას, ფოტოგრაფიულ განსაკუთრებულ ტექნიკას წარმოაჩენს ეს ფილმი და გვისახავს ერთი ძალიან თამამი, ენტრაგოული, ძლიერი შემოქმედი კაცის ისტორიას, რომელიც 80 წელს გადაცილებულიც კი, არ ჯერდება მშვიდ ცხოვრებას, მუდმივ ძიებაშია, საინტერესო კადრის პოვნის იმედით იღებს და უნახავს უამრავ ფოტოს კაცობრიობას მუზეუმებსა და გალერეებში, ან უბრალოდ საკუთარი სახლის ბნელ ფოტოსაცავში.

მარი მსხალაპი

ვაკეს დოსტეს პიროვნეულია საქმეს



ფშავ-ხევსურული

სიცივე!

ზამთრის ცივი ქუჩები. ცა მეცნობა!

ესეთი ყოფილა თბილისი? მსგავსი რამ არასდროს მინახავს. შეიძლება ეს უტესებელო კედლები საერთოდ არ არის ქართლის სამეფოს დედაქალაქი. სულ სხვანაირი წარმომედგინა ასიათასი წმინდანის წამების ადგილი?! თითქოს ვიცი სადაც ვარ, ზუსტად ისე, როგორც სიზმარში იციან.

ქუჩებში ნელა მივაბიჯებ, მაღალი სახლების ჩრდილები მაგონებს შატილის ციხეებს.

ხმალ-ჩხმას ასხმულს, მუზარადი მირთულებს თვალთახედვას, ჯაჭვისპერანგი ხმაურობს სიარულისას. გზადაგზა უცხო სამოსში გამოწყობილი

უცნაური ხალხი მხვდება, უცბად შევიცანი ფშავ-ხევსურები, შეჯაფებული მოკირწყლულ ქაფენილზე. ნამიანი თეთრი ლოდები ირეკლავენ ზამთრის ცივ მზეს. კაცებს შვი ფაფახები ხურავთ, მათ გვერდზე ქალები სხედან. ვუყურებ ფითრ სახეებს და ვერ ვხვდები ტირან თუ არა, ანდაც საერთოდ ვის გლოვობებ თვალცრემლიანი დედები?

მივიჩქარი მათკენ, მაგრამ... შევჩერდი!

ჩამუხლული ფშაველი ვაჟაცის წინ, ერთმანეთს თვალებში ვუმზერთ.

არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი ვინც არის, ზუსტად ისე,

როგორც სიზმარში იციან. მიყურებს, მცნობს, წარსულიდან თუ მომავლიდან და არ ვარ დარწმუნებული მესიზმრება ის, თუ მას ვესიზმრები მე...

გამოღვიძება!

თვალებს ვახელ იმ მოჯადოვებულ მდინარესთან, ჩაქუფრულ ჭაობებს რომ ჰყავთ ალყაში მოქცეული. ხავსით მორთული პირქუში გამოქვაბული მრისხანედ დამცექრის ზემოდან.

ჭრილობა შემიხორცდა!

— ისევ ის სიზმარი გესიზმრა? — მეკითხება გველი.

— ისევ ის, იმ კაცზე, ჩვენზე რომ წერს! — სად იყო?

— თბილისში.

— არასდროს ვყოფილვარ, ლამაზია?

— სიზმარში ლამაზია.

— ლამაზი იქნება, ნახვა მინდა, ჩემი გუშინდელი ზღაპარი მოგეწონა, ორის იბლისა მმისასა?

— კიდევ იცი სხვა ზღაპრები?

— ბევრი, ძალიან ბევრი. გიამბობ.

— მერე, ჯერ არა, სიზმარს შევიბრუნებ.

— მანამდე საჭირებს მოგიტან.

მტოვებს ადამის ტომის მტერი გველეშაპი, დანესტილ ფოთლებს მიაშრაალებს.

— ხვალიდან ჩემით გაგალ სანადიროდ, ნატყვიარი ალარც მეტყობა! — გავძახე გველს. შორს არის, ჭაობში შეცურა. ვერ გაიგო.

სიზმების საძეფო! თვალებს ვხუჭავ.

გზის გასაყრზე მეღვიძება! მგზავრებს კოცონი დაუნთათ, ნანადირევს ინაწილებენ, მეპატიუებიან. შემდეგ სანადიროდ მივყვიბი.

მივყვები დათრთვილულ ბილიკებს, გზებსა და ქვაფენილებს და მოსახვევებში ვიგარგები...

დავით გურგულია,

მხატვრული კინოს რეჟისურა, პირველი კურსი,